31 მაისი, 1918 წლისა. ფასი ნომრისა 80 კაპ.

წელიწადი პირველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სიტყვა

№ 6. ორკვირეული ჟურნალი. № 6.

შემდეგი № გამოვა 15 ივნისს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ჟურნალ „ახალ სიტყვაზე.“ ჟურნალის მიზანია ჩვენის ეკკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი.

რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს, შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთ დახმარება აღმოუჩინონ მას ჟურნალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე დეკანტონ თოთიბაძესთან: ტფილისი, სიონის ტაძრის ეზოში.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ცაცქიშვილთან: ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ხალხელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შეევიწროვებული საქართველო თვისის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩენ რა თვისის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული ხაბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს

7) დამფუძნებელ კრების მოწვევამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

თავისუფალი საქართველო.

26 მარტს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის დარსება. ჩვენ, საქართველოს თავისუფალ ეკლესიის წარმომადგენელნი, წრფელის გულით ვეერთდებით ქართველების მხიარულებას და ხმამაღლა ვიტყვით: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! ღმერთმა მრავალჟამიერ ჰყოს საქართველოს თავისუფალი დემოკრატიული რესპუბლიკა!

ეს საისტორიო ჰქტი აკალებს ყოველ ქართველს ფხიზლად ეფხიზურის გონებით, ქონებით და მთელის თავის სიცოცხლის განწირვით საქართველოს თავისუფლების განმტკიცებას. მხოლოდ, მტრის დასამარცხებლად საჭიროა სასოება ღვთისა და წინდაწინვე განმსჭვალვა იმ რწმენით, რომ მტერი უნდა დავამარცხოთ უნდა შევეწიოდეთ იმ აზრს, რომ არავინ არ არის მოვალე საქართველო დაიცვას, გარდა ქართველ ხალხისა. გარნა ისეთ მეომართათვის, რომელნთა შეგნება და სინდისი არ აღმოაჩნდებათ იბრძოლონ საბშობლოსათვის, უნდა შემოღებულ იქმნეს ისეთივე სასჯელი, როგორც გერმანიის ან სხვათა პირველი ხარისხოვან ჯარებშია შემოღებული. არ კმარა ბრძოლა ტყვიით დაბფრთხილ მეომარს, თოფით სახლისაკენ გაქცეულს უძახო: ამხანაგო, აგრე არ ივარგებს, დაბრუნდი უკან, თორემ პარტიიდან გამოგრიცხავთო. ჩვენმა მთავრობამ, თუ უნდა რომ ღირსი იყოს ამ სახელისა, უნდა შემოიღოს ჯარში სასიკი დისციპლინა, რადგანაც უამისოთ, რაც ქვეყანა ტრიალებს, ომი არავის მოუგია. სიკვდილით დასჯა ლაჩრად უკან გამოქცეულს ეომარს, და თოფისა და ყოველივე სახაზინო ნივთების ქურდს! თორემ რა ჯარია ის ჯარი, საცა ერთი და ორი თავგანწირვა სდგას თავის პოზიციაზე, ოთხი და ხუთი კი სახლში მიიპარება თოფით პატრონებით და სხვა ნაქურდლ სახაზინო ნივთებით დატვირთული. შევიბრალოთ ის პატიოსანნი და შეგნებულნი მეომარნი, რომელნიც არ ზოგავენ თავისს სიცოცხლეს და უკან გამოსაქცევად არ ემზადებიან. დიდმა და პატარამ, კაცმა და ქალმა მივიღოთ მონაწ. საქ. თავისუფლების დაცვაში და მაშინ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დღეგრძელი იქნება.

რესპუბლიკა და ჩვენი ეკლესია

2

წინა წერილში*) ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იმისდა მიუხედავად, საერთოდ ამიერ-კავკასიის ინტერნაციონალური რესპუბლიკა დაწესდება ჩვენში საბოლოოდ თუ კერძოდ საქართველოს ფარგლებში ეროვნული-ქართული რესპუბლიკა, ეკლესიისთვის შედეგი ერთი და იგივე იქნება: ეკლესია გამოეყოფა სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი კავშირი მორწმუნეთა, და სახელმწიფო ეკლესიისგან მბრუნვეობითს ხელს აიღებს.

კონკრეტულად ეს გაყოფა-ჩამოშორება იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფო ეკლესიას ქონებრივად აღარ დაეხმარება და სამაგიეროდ ეკლესია ყარჭყოფს იმ რიგულ პასუხის საგებ საქმეთა წარმოებას, რომელსაც მეტრიკაცია ჰქვია. ამნაირად თუ მღვდელი დაჰკარგავს თვეში რაღაც ოცდა ორ მანეთსა რომელსაც დღეს ჯამაგირი ეწოდება, სამაგიეროდ ის მთელის არსებით დაუბრუნდება და

---

*) „ახ. სიტყვა“ № 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდგება თავისს პირდაპირ მოვალეობას— მწყემსობას და ამ შემთხვევაში ვირაგეინ დაეყრდნებს მას, აქაო და შენ ხაზინიდ ნ ჯამაგირი გეძლევა (რაში?) და ვალდებული ხარ მუქთადაც მემსახურო. არა! „რომელნი იგი ბაგინსა (საკურთხეველსა) ჰმსახურებენ, ბაგინისაგან ჰსჭამიან“ (1 კორინთ. 9, 13). ამ ზომის ჯამაგირი ჯერ კიდევ იაფობის დროს არაფერს წარმოადგენდა და დღევანდელს ეკონომიურ პირობებში ხომ ერთ ხეირიან საუზმესაც არ ეყოფა. მორწმუნეთა თავისუფალ კავშირის ერთეულნი კი სამრევლოების სახით, უეჭველია, იმდენად უზრუნველ ჰყოფენ თავიანთ მოძღვრებსა, რომ ყოველ ეკლესიაში ამ სათანადო ჯამაგირის უქონლობა მაინც არ დაიტყოთ ჯერ საფრანგეთშიაც კი, სადაც მშრომელთა ზოგიერთმა კავშირმა რელიგიურ დოგმების ნაცვლად გონების კულტი გამოაცხადეს, იქამდინ მოწესრიგებულია ეს საქმე, რომ იქაურ სამღვდელოებას ქონებრივად უზრუნველყოფის მხრივ, გერმანიის სამღვდელოების შემდეგ, მეორე ადგილი უჭირავს ქვეყნიერობაზედ.

და ჩვენში ხომ საქმე ამ ზომამდე არ გამწვავებულა და არც აწი გამწვავდება. ის ხანა რევოლიუციონურ განადგურებისა, რომელიც შეიძლებოდა ჩვენს ეკლესიას უარყოფით შეხებოდა, ჩვენ უკვე მშვიდობიანად გავიარეთ, რადგანაც სწორედ იმ მომენტში აღდგენილ იქმნა ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობა, რამაც ძლიერ ხელი შეუწყო ქართველ ერის და სამღვდელოების მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენი ერი ბუნებით მორწმუნეა და მას დღესაც ისე სჭირდება ეკლესია და მისი იერარქია, როგორც ათას წლის წინეთ, და თუ მან უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში რაიმე ეკლესიურს ზურგი აქცია, ეს იყო მხოლოდ ის უსულ-უგულო ბიუროკრატიზმი, რომელიც საერთოდ ყოფილ რუსეთის იმპერიაში და განაკუთრებით ჩვენში საეკლესიო საქმეებს ხელოვნურად შეაკოწიწა მონარქიულმა სინოდმა. პირიქით, ეროვნული სარწმუნოება დამახასიათებელი სტიქიაა ჩვენის ერის ბუნებისა და ეკლესიას მუდამ განსაკუთრებითი ეროვნული ხნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ისტორიაში. მეტადრე ეხლა, როცა ჩვენი პოლიტიკური სახე მხოლოდ იხატება და მრავალზე უმრავლეს შემთხვევათაგან არის დამოკიდებული, ურწმუნო თომეზიც კი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ დამოუკიდებელ ქართულ ეკლესიას დიდი ისტორიული როლი უუევს წინა: ის უნდა იყოს და იქნება კიდევ გუშაგი და ბურჯი ქართველ ერის თვითშემეცნების, ერთობის და პოლიტიკურ დამოუკიდებლობისა. ასეთი ძლიერი ძარღვი ჩვენის ერისა არ დადონდება, სანამ არ გაჭრიბა თვით ეს ერი, და სახელმწიფოს უღელისაგან განთავისუფლება მას უფრო განამტკიცებს, ინტენსიურ მეშაობაში შეაკავშირებს და თვითმოქმედების ასპარეზს გაუფართოვებს.

ამნაირად ეკლესია, როგორც სამწყსო, და მისი სამღვდელოება, როგორც მწყემსნი, არც უფლებრივ, არც მორალურად და არც ქონებრივად უარეს შემთხვევაშიაც არას წაგებენ სახელმწიფოსგან ჩამოშორებით, მოგებით კი შეიძლება ბევრი რამე მოიგონ იმისდა მიხედვით, რა ღირებულების და შემადგენლობის იქნება მესვეური ხამღვდელოება. წააგებენ მხოლოდ და მხოლოდ საერო სასწავლ ბლების სკოლის მასწავლებელნი, რომელნიც სახაზინო ჯამაგირმა სამწუხაროდ ძოსწყვეტა და მოაშორა სამღვდელოებას, რომელსაც სწორედ ეხლა განსაკუთრებით ესაჭიროება ისეთი განათლებული და ნიჭიერი თანამოღვაწენი, როგორც არის დიდი უმეტესობა სკოლის მოძღვრთა,— და წააგებენ აგრეთვე ადმინისტრატიულ თანამდებობის პირნი და საეკლესიო დაწესებულებათა მოხელენი, რომელთაც ხალხთან ქონებრივი ურთიერთობა არა აქვთ და დღემდე ხაზინა ინახავდა. მაგრამ პირველთა შესახებ მხოლოდ ერთი ითქმის: „ზოგი ჭირი მარგებელია!“ ვისაც ანაფორა და ჯვარი რწმენით ულტვირთნია, მისთვის ეკლესიის კარები მუდამ ღიაა. მხარში ამოგვიდგენ, ერთად ვწიოთ ჭაპანი და თუ ბევრს ვერ მივცემთ ჩვენის სილარიბისაგამო, ერთით მაინც ვანუგეშებთ: „ყველი და პური—და კაი გულია“. რაც შეეხება მეორეთ—თანამდებობის პირთ და მოხელეთ, ესენი ისე ცოტანი არიან, რომ უადგილოა შიში, ვითომ ესენი ვერ შეინახოს თავისუფალმა ეკლესიამ.

სახელმწიფოს საქმეებში ეკლესიის დემაგოგია და კლერიკალიზმი, რამაც დასავლეთ საგელმწიფოებში ეკლესიის ჩამოშორება გამოიწვია, ჩვენს ეკლესიას თავის დღეში არც მიზნად ჰქონია, არც ფაქტიურად უწარმოებია. მაშასადამე, როცა იქ სახელმწიფო თავიდან იშორებდა ისეთ მორალურ ძალას, როგორც არის ეკლესია, პირველი მოგებაში რჩებოდა, რადგანაც თვით თავისუფლდებოდა

ეკლესიისა და მისი ხელმწიფობრივი ტენდენციებისაგან, მეორე კი წაგებული, რადგანაც გამოყოფის დღიდანვე ჰკარგავდა შეძლებას გარეულიყო სახელმწიფოს საქმეებში. აქ კი წაგებული სახელმწიფო დარჩება, რადგანაც ის კავშირს გასწყვეტს ისეთ ეკლესიასთან, რომელიც არამც თუ საკუთარ მიზნებისთვის არ ერეოდა სახელმწიფოს საქმეებში,— პირიქით, უმთავრეს თავის ძალღონეს სახელმწიფოს მიზნების საზოგადოებაში განხორციელებას ალევდა: იმ 22—25 მნეთის ნაცვლად კი, რომელიც მდვდელს ეძლეოდა თვეში მეტრიკულ აქტების წარმოებაში სახაზინო ჯამაგირის სახით, სახელმწიფო იძულებული გახდება ათჯერ ოცჯერ მეტი გაიღოს, ვინაიდგან თითეულ უბანში, თითეულ პატარა სოფელში უნდა დაწესდეს მთელი შტატი მოხელეთა ამავე მეტრიკაციისათვის რამდენს მოითხოვს და გააკეთებს თითეული თანამედროვე მოხელე. ეს ყველამ კარგად ვიცით...

მაგრამ არის მეორე უფრო დადებითი და ნათელი მოვლენა, რომელიც ჩვენში—პატარა, მაგრამ კულტურულად ძლიერ ქვეყანაში ლამაზოდ თან დაჰყვება ეკლესიის და სახელმწიფოს გაცალკევებას. ეს გახლავთ ა) სახარებისებრივი „ვაჟართა განდევნა ტაძრიდან“ ან, პირდაპირ რომ ვთქვათ, სამღვდელოების შემადგენლობის განწმენდა დასუფთავება იმ არა—სასულიერო და ანტი-ეკლესიურ ელემენტებისაგან, რომელიც ამ წრეში შემორიყა გაბატონებულმა სახელმწიფომ, და ბ) თავისუფალ ეკლესიის სამღვდელოების საზღვარგარეთისებურად ქონესრივი უზრუნველყოფა.

მაგრამ ამაზედ შემდეგს წერილში.

მღვდ ილ. შუბლაძე.

მცირე განმარტება ფოთში განზრახულ კურსების შესახებ.

ჟურნალ „ახალი სიტყვის მეოთხე №-ში მოთავსებულია ვიღაც „სორტელი სტუმრის“ შენიშვნა, რომელშიც ავტორი უადგილოდ და არა სასურველად სთვლის ფოთის საკათედრო ტაძართან სამღვდელო და სამედავითნეო კანდიდატების მოსამზადებლად კურსების გახსნას. მე პირადად ვერ ამიხსნია, რით ხელმძღვანელობს ბ. „სორტელი სტუმარი“ ამ შემთხვევაში.

მართალია მისი ამნაირი შეხედულება, როგორც მისი წერილიდან სჩანს, გამოწვეულია იმით, რომ კურსებში „შესვლა შეუძლია ვიგინდარას“ (ხაზი ჩემია) რაც, მისი აზრით, შეჰქმნის „კანდიდატთა ლაშქარს“, მაგრამ ეს დიდ საშიშროებას არ უნდა წარმოადგენდეს. უსაფუძვლოა შიში, ვითომ კურსები გაამრავლებს უვარგის კანდიდატებს, რადგან კურსების დანიშნულება პირიქით იმაშია, რომ იხსნას ეკლესია ამ უვარგის კანდიდატებისაგან.

როდესაც 1906 წელს ჩვენში ხალხს მიეცა მღვდელ-მედავითნეების არჩევის უფლება და ამის დებულება უნდა განეხილა და დაემტკიცებია საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორას, ამ სტრიქონების დამწერმა განაცხადა, რომ თვითონ ჩვენ უნდა მივსცეთ ხალხს მომზადებული კანდიდატები და რომ ამისთვის საჭიროა კურსების დაარსება. იცით, ვინ იყო მაშინ იმნაირი აზრისა, როგორც ახლა ბრძანდება „სორტელი სტუმარი“? ეს იყო ექსარხოსი ნიკონი. რომელმაც რიხიანათ განაცხადა: „რათ გინდათ კანდიდატთა ლაშქარი, ეს ხომ თავისუფლების შეზღუდვა იქნება, ვინც უნდათ ის აირჩიონო“. ჭკვიანმა სინოდის ინტერესების დამცველმა იცოდა, რასაც ამბობდა და რა მისთვის სასურველი შედეგი უნდა მოყოლოდა ამნაირ არჩევნების უფლებას. ექსარხოსმა ამით კიდევაც მიაღწია მიზანს, რადგანაც მომზადებულ კანდიდატთა უყოლობამ გაამრავლა უვიც მღვდელთა რიცხვი და თვით შეგნებული ნაწილი სამღვდელოებისა აამხედრა არჩევითი უფლების წინააღმდეგ. ისტორია მასწავლებელია და ძველი შეცდომები არ უნდა განვიმეოროთ.

ამისთვის მე პირადათ, როგორც იმ სა. ბჭოს თავმჯდომარეს, რომელსაც ავტორი უწუნებს მოქმედებას და კურსების გახსნის განზრახვას, ძალიან საჭიროთ მიმაჩნია რიგიანად მომზადებული „კანდიდატთა ლაშქრის“ გაჩენა ჩვენში. რაც მეტი იქნება, უკეთესია ეს იქნება ჩვენ წინმსვლელობის უტყუარი მაჩვენებელი. მაშინ ხალხს ექნება სია საკმაოდ მომზადებულ პირთა, რომელთაგან მას შეეძლება აირჩიოს თავისთვის მოძღვარ-მასწავლებლად სასურველი კანდიდატი. აქ ვოსტარგოვის კურსები მოსატანი არ არის და, ვგონებ, ამ საქმის ინიციატორი არც ვოსტარგოვის მიმართულებისაა, რაც „სორტელ სტუმარსაც“ უნდა სწადნოდა, თუ მას იცნობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან კარგს ინებებდა ავტორი, რომ არ დაკმაყოფილიყო „ფრთხილად და მორიდებით“ მთელი ფოთის მხოლოდ „გონებით“ შემოვლით და თვითონ მობრძანებულიყო საქმის გასაგებად. თვითონ მე შემეძლო მეჩვენებია მისთვის პირი, რომელსაც შეუძლია ამ საქმის გაძღოლა- მაშინ მას არ მოუვიდოდა იმნაირი შეცდომა, რომ უკუეგდო და დაეررღვია წერილის ბოლოში ის, რასაც სამართლიანად ბრძანებს იმავე წერილის პირველ ნახევარში.

აი რას ბრძანებს ავტორი წერილის პირველ ნახევარში:

„გზანთლებულ ქვეყანაში სამღვდელოდ ღირსეულად მომზადებულ პირებს სანთლით დაეძებენ, ვინაითგან აღზრდის მხრით დაგს იმედებს ამყარებენ მათზე ჩვენში კი, ვინ გნებავთ, არ წაიჩოქონ (შეუფერებლად მიმაჩნია ათ, დთმლ სიტყვის ხმარება დიდ და წმიდა საიმღვდ ოზე მსჯელობის დროს. შენ. ჩემია) და ასე ლის ხარისხით არ შემოსონ! ეს რომ ექნ არ იყოს სარწმუნოებას ჩვენშიაც ფასი ყოფ ბოდა... არ ყოლა ჯობია ცუდი მღვდლის უგლას... და რათ გიკვირთ, რომ უთავო, გაწ ბარ-შეუგნებელი მღვდლის ხელში სარმონ ება და თვით პიროვნებაც-მღვდელი საზიზღრად მიიჩნდეს ხალხს!..“

სრული ჭეშმარიტებაა ამ სიტყვებში... ამაში მე დამარწმუნა იმ სამღვდელო კანდიდატების გამოცდამ, რომელთაც ხალხი ირჩევს და რომელთა შესახებ თავიანთ ოქმში ხანდახან იმასაც კი ამბობს, რომ უკეთესი კანდიდატი ვერ ვიშოვეთ. არ მესმის ამის შემდეგ, რამ აიძულა ავტორი გამოლაშქრებულიყო კურსების წინააღმდეგ თავის წერილის მეორე ნახევარში? რისთვის უნდა დაგვგმონ იმისთვის, რომ შევეცადოთ ოდნავ მაინც წამალი დაედოთ ამ ჩვენს სატკივარს? მაშ გვიბრძანოს ბ. „სორტელმა სტუმარმა“, რა საშუალებას უნდა მივმართოთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად? თუ ფოთში, სადაც მას ვერ აღმოუჩენია „ისეთი პირი, რომელიც ამ საქმეს გაუძღვება“, არ შეიძლება კურსების გახსნა, მაშინ სასურველია დაგვისახელოს ავტორმა სხვა უფრო მოხერხებული ადგილი ეპარქიაში, სადაც უკეთესი ხელმძღვანელი იშოვება და შეიძლება კურსების დაარსება.

ავტორს რომ ენებებია აქ ჩამობრძანება, იმასაც გაიგებდა, რომ მოკლე ვადიანი კურსები მხოლოდ მომენტის აუცილებელი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არის განზრახული, რის შემდეგ ეს კურსები, საბჭოს გარდაწყვეტილებით, უნდა გრძელდებოდეს საღვდელო კანდიდატთათვის არა უნაკლულეს სამის წლისა.

ისიც კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, რომ, „ყველა ვიგინდარას“ გამოზრდა-მომზადება მოხერხებულიყო, მაგრამ ამის განხორციელება შეუძლებელად ვსცანით და ამისთვის ჩვენ განზრახული გვაქვს შემოვიღოთ კურსებში შემსვლელთათვის ერთნაირი განათლების ცენზიც.

თუ ბ. „სორტელი სტუმარი“ მართლა, როგორც ამბობენ, მღვდელი ბრძანდება, ვეთხოვთ მას მოგვაშველოს ამ კეთილ საქმეში თავისი გამოცდილება და გაგვიწიოს დახმარება. მე დიდის მადლობით მივიღებ მის რჩევა-დარიგებას, თუ ის ამისთვის უკეთეს გზას გამონახავს.

საჭყონდიდლო საბჭოს თავმჯდომარე.

პირი.

თბილისის ნოტარიუსს ბ. მაჭავარიანს იძერეთის მიტროპოლიტის ანტონ ქოთათელისაგან განცხადება.

ამით პატივი მაქვს, ბ. ნოტარიუსო, გაგიცხადოთ, რომ 21 მარტს 1918 წ. ჩემგან გაეგზავნა ტფილისს ქართულ გაზეთის „ახალ სიტყვის“ რედაქციას წერილი, რომელშიაც იყო გამოხატული შუამდგომლობა ჩემი აღნიშნულ რედაქციის წინაშე, მის რწმუნებულის მღ. ქრ. ციცქიშვილის პირით, გამოეჩინათ ფიზონომია და სახე „ჭინჭარის“ ფსევდონიმით დამალულ ამ ჟურნალის თანამშრომლისა, უსინდისოთ რომ გადამასხა თავზე 1 ჩაფი ტალახი მე, **ერთ-ერთს მოღვაწეს ავტოკეფალურ ეკლესიისას,** რომლის დაბეჭდვასაც მე მივითხოვდი დასახელებულ ჟურნალის მორიგ ნომერში.

გიცხადებთ რა ზემოაღნიშნულზე, გთხოვთ, ბ. ნოტარიუსო, გამოუცხადოთ სარედაქციო კოლეგიას აღნიშნულ ჟურნალისას რწმუნებულის მღ. ქრ ციცქიშვილის პირით, რომ 24 საათში ამ წერილის პირის ჩაბარებიდან წარმოგიდგინოს თქვენ ჩემდა ჩასაბარებლად უკანვე, ჩემ წარმომადგენლის მიერ, ხელნაბეჭდი დედანი ჩემი წერილისა, რომელიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქმნა დაბეჭდილი ჟურნალ „ახალ სიტყვაში“ მიუხედავად ჩემი თხოვნისა და მოთხოვნისა.

ყველა ამაში და აგრეთვე დასახელებულ სარედაქციო კოლლეგიისაგან შესაძლო მოცემულ პასუხში გთხოვთ სათანადო დამოწმებას ამ განცხადებისა და მის პირის წარმოდგენას, და აგრეთვე ნათხოვნ დამოწმების მიღებას ვანდობ ჩემს სიძეს ანატოლი ნიკოლაევიჩ რიდიგერს.

ნამდვილთან სწორია: მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი.

1918 წლის 17 აპრილს.

შენიშვნა რედაქციისაგან.

ეს უცნაური წერილი რედაქციამ მიიღო ნოტარიუსის ბ. მაკავარიანისაგან ოცდა ხუთ აპრილს (ძველის სტილით). წერილს რაღაც გერმანული ულტიმატური ხასიათი აქვს „(24 ააათში...“ და სხვა). ის წერილი, რომელზედაც არის ნათქვამი მიტროპოლიტ ანტონის განცხადებაში, მესამე ნომერში სხვა და სხვა მიზეზისა გამო ვერ დაიბეჭდა. დაიბეჭდა კი მეოთხე ნომერში, ბევრად ადრე, ვიდრე რედაქცია მიიღებდა სანოტარიუსო წესით წერილს მ. ანტონისაგან. წესილის შინაარსის და კილოს დაფასებას ანდობს „ახალ სიტყვის“ რედაქცია თავის მკითხველებს.

რედაქცია ხმა მაღლა აცხადებს, რომ იგი მუდამ მზადაა პასუხი აგოს ყველ ფერზე, რაც მის ოქგანოში იბეჭდება, თუ კი ვინმეს ხალისი არ შეუსუსტდება სიმართლის საბუთიანად გამომჟღავნებისა.

ხმა პროვინციიდან.

მეტად ჩამაფიქრებელი ამბავი მოგვიტანა „ახალი სიტყვის“ მეოთხე ნუმერმა:—თეორმე საკათოლიკოსო საბჭოს ზოგიერთი წევრები ამხედრებულან „ახალი სიტყვის“ და მისი თანამშრომლების წინააღმდეგ!... ეს მეტისმეტია, მეტი რომ არა ვსთქვათ!... არც ისეა საქმე, „ახალმა სიტყვამ“ არ იცოდეს ვის რა პატივით მოპყრობა ხვდება!... ხოლო ამა თუ იმ პირის საზოგადო ხასიათის მოქმედებას, თუ კრიტიკის თვალით შეხედა იმიტომ კი არა, რომ ვინმე დაამცირიოს, არამედ ჭეშმარიტების გამოსამჟღავნებლად... ყოველ უმგვანო მოქმედებას უნდა გამოსაზეურება... ვისაც ეს ასე არ სწამს, მას „ახ. ს“ ანგარიშს არ გაუწევს.

სიმართლეს ფართე გზა უნდა გაეხსნას, რომ ასი წლის ტყვეობიდან გამოხსნილი ჩვენი ეკლესია კვლავ ტყვეობაში არ ჩავარდეს, და უფრო საშიშ-სამარცხვინო ტყვეობაში. (გვაქვს სახეში ხალხის ზურგის შექცევა ეკლესიისადმი). საეკლესიო ყანა არ-ვის კერძო საკუთრებას არ შეადგენს, მით უმეტეს, იგი არავისი კერძოდ საჭირითო მოედანი არ არის... მორწმუნე ერმა უნდა იცოდეს, რა სახისა და ზნის არინ მისნი მწყემსნი.

სწორეთ ამ მიზანს ემსახურება „ახალი სიტყვა“... იგი არ ერიდება ნაკლულევანების აღნიშვნას, მაგრამ დიდს სიამოვნებით და უფრო მეტის ხალისითაც ქებას შეასხამს საქებ საქმესაც, რაც დღემდის თუ არ გაკეთებულა, უნდა გაკეთდეს აწი მაინც ასაღორძინებლად ტყვეობისგან ჩონჩხად ქცეულის ეკლესიისა, და ვინც მას გვერდელად და ცალი ყბით ემსახურება, ან ემსახურებოდა, მას „ახალი სიტყვა“ არ დაინდობს, ვინც გინდ არ იყოს იგი... ამის გამო მუქარით ნურავინ თავს უბრალოდ ნუ შეიწუხებს..

მეტად კულტურული გზა აურჩევია მეუფე ანტონ მიტროპოლიტს: მან მოითხოვა და „ახ. სიტყვამ“ თავის რწმუნებულს მიანდო სამართალში გაყვეს. ასე უნდა მოიქცეს ყველა ის, ვინც თავს შეურაცხყოფილად გრძნობს... მაგრამ ამასაკი ხმამაღლა ვიტყვით, რომ „ახ. სიტყვაში“ დღეს აღძრული სამედიატორო საქმე არაგზით ჩვეულებრივად არ უნდა ჩაფუჩეჩდეს, თუ არ სურს რომელიმე მხარეს, თავის-თავს პატივი აყაროს.

სორტელი სტუმარი.

მოუშორებელი ჭირი.

მოგეხსენებათ, ბლაღოჩინთა ინსტიტუტი ზიზღით მოსაგონარია სამღვდელოთა ცხორებაში. ბლაღოჩინები, მცირე გამონაკლისით, ნამვილი სამჭმოთ, სათალ დუმათ თვლიდენ, როგორც რწმენებულ ეკკლესიებს, ისე მათში მოსამსახურე პირებსაც. ნიკოლოზ მეორეს ტახტის დამხობასთან კი უცბათ შეირყა ბლაღოჩინების ტახტიც. გამონაკლისს შეადგენს ერთ დროს ხარაგულის არქეიერად წოდებული მ. ერმალოზ ვეფხვაძე, რომელიც ჯერ კიდევ გმირულათ იცავს თავის პოზიციას და ძველებურათ ბლაღოჩინობს. თუმცა წინეთ მ. ვეფხაძე, ერთ ბლიაძესავით, რომელმაც დანის გულისათვის დასაკლავი ძროხა ზესხვანში აიყვანა, უბრალო რამეს გამოსაცხადებლათ წარა-მარა იბარებდა სამღვდელოებას ხარაგოულში, თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ მხოლოდ 27 აპრილს დაგვიბარა საოლქო ალ. კომიტ. წევრთა ასარჩევად. წინათ შემზადებულმა სამღვდელოების ერთმა ნაწილმა ვეფხაძე კომიტეტში წევრათ გაიყვანა, ხოლო მეორე ნაწილმა ამაზე წერილობით პროტესტი განაცხადა საეპარქიო კომიტეტში და თან ოლქის ორად გაყოფა ითხოვა. კომიტეტმა ორივე განცხადება საფუძვლიანად იცნო და მ. კონსტანტინე ანთაძეს მიანდო ვეფხაძის მაგიერი კაცის არჩევა და ოლქის გაყოფის საქმე. 29 მაისს მ. ანთაძემ სამღვდელოება დაიბარა სად. ძირულაში, მაგრამ ვეფხაძემ და მისმა დამჭაშებმა ასტეხეს ერთი აურ-ზაური, ლანძღვა-გინება და კრება ჩაშალეს. მალე ახალი საეპარქიო კომიტეტი შედგა, რომელშიაც ბევრი სხვანაირი ზნეობისა და მიმართულობის ადამიანი მოყვას ვეფხვაძეზე შეტანილი პროტესტისა და ოლქი-გაყოფის შესახებ ხარაგოულში (და არა ძირულაში 27 აპრილს სამღვდლეობის დადგენილ ებ-მებრ) მობრძანდა კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, რომლემაც მხოლოდ რამოდენიმე არაპროტესტანტი მღვდელ-მედავითნე მოიხმო, ერთხანს მ. ვეფხაძისას ისიამოვნა და შინ დაბრუნდა. ამ საარაკო გამომძიებელმა გააკადნიერა მ. ვეფხაძე, რომ რიხიანად იმაძის: სანამ ცოცხალი ვარ საოლქო კომიტეტიდან ვერავინ ვერ მითხოვსო. გვჯერა. ჩვენი სასულიერო მმართველობის ხელმ., აქამდის მაინც, სიმართლე ფეხით გათელილი იყო. ვეფხაძეზე ათასი საჩივარი იყო, მრავალი საფუძვლიანი წერილი დაიბეჭდა მისი საქციელის შესახებ ქართულ გაზეთებში, მაგრამ ყველა უყურადღებოთ დარჩა. ის ბრძანდება თავის საბლაღოჩინო ტახტზე და ყველასაგან ეუბნება: „ახლა ბლაღოჩინის მაგიერათ კომიტეტია მაგრამ მე, რასაკვირველია თამჯდომარე ვარ და საქმეც. მე მეკითხებაო საბლაღოჩინო საქმეები, ეს შემოხავლის წყარო ვეფხვაძისა, მართლა მის ხელშია და არც არავინ ფიქრობს ჩამორთმევას, მაგრამ საოლქო კომიტეტი კი ჩვენში არ არსებობს და არც არავის ვეფხვაძე აურჩევია თავმჯდომარეთ. ვეფხაძე მართლა ძლიერ მოწადინებული იყო თამჯდომარეობის, მაგრამ ამის წინამღდეგი იყვენ კომ. წევრთა უმრალესობა. ამით გახელებული ვეფხაძე აღარაფერს კითხავს თავის „უმცროს“ ამხანაგებს და ეს მეორე წელიწადია კომიტეტიც თითონ არის და მისი თავმჯდომარეც. საჭირო შემთხვევაშვი ის, ვიმეორებ სამღ. დადგენილებას წინააღმდეგ, თავის სატახტო ქალაქ ბელაგორში მართავს კრებას განგებ თავის მორჩილ მღვდელ-მედავითნეებს იბარებს. მ. ვეფხვაძე სრულებით დროს ანგარიშს არ უწევს მაგრამ ვერ გაგვიგია, რა არის მიზანი მისი ჯიუტობისა: თავმოყვარება, თუ სარგებლობა? პირველის რა მოგახსენოთ და მეორეც უსაფუძვლო უნდა იყოს. საეჭვოა, რომ ვეფხვაძემ ბლაღოჩინობის შემოსავლით ადრინდულათ სასახლეები ააგოს და დიდკაცურათ იცხოვროს. ზარალი კი დიდიმოაქვს მის თავგასულობას, რადგან მისი წყალობით სამღვდელოება ორ მოწინააღმდეგ ბანაკათ გაიყო და ერთმანეთის აღარაფერი ესმით ვიცით მ. ვეფხაძეს მაგარაი შუბლის კანი აქვს, ის ბევრს იცინებს ამ წერილის წაკითხვაზე და ამიტომ შემდეგი სიტყვებით მივმართავ ქუთათელ მიტროპოლიტ ანტონს და მის საბჭოს: 1 შეიბრალეთ სამღვდელება და თანახმად პირველი კომიტ. დადგენილებისა გაათავისუფლეთ ვეფხვაძე საოლქო კომიტ. წევრობისაგან, ხოლო საბლაღო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩინო საქმეები ჩაბარეთ კომიტეტს; 2, გაიყოს ხარაგოულის ოლქი ორად; 3, ჩამოერთვას ვეფხაძეს ღარიბი სამღვდელოების ზურგიდან აფცქვნილ ფულებით ნაყიდი ოქ. ჯვარი და კვერთხი საეკ. მუზეუმში შესანახათ ბნელი დროის მოსაგონებლათ 4, გადაინჯოს ვეფხვაძეზე შემოტანილი საჩივრები და გამოაშკარავდეს სიმართლე და სიმტყუნე. თუ ამას არ ინებებთ, მამანო და ძმანო, დააკანონეთ ისევ ვეფხაძის ბლაღოჩინათ დარჩენა; უნებლიეთ შეეგუვებით იმ აზრს, რომ ხსნა არსაიდან არის, ის ჩვენთვის მოუშორებელი ჭირია, როგორც წინეთ ფიქრობდა, ავუგებთ ძვირფას სასახლეს, მოვრთმევთ ახალ საჩუქრებს და ყოველ ნაირათ ვეცდებით ჩვენზე გული მოიბრუნოს და მოწყალე თვალით მოგვხედოს.

მღ. ს. ჭუმბურიძე.

ქრონიკა.

19 მაისს ანჩისხატის ტაძარში მწირველი იყო პატრიარქ-კათოლიკოსი. თანამწირველები იყვნენ მღ. პაჩიკოვი, ბაკურაძე და დეკ. იოილ გამრეკელოვი.

—

საკათოლიკოსო საბჭოს წარმოუდგინეს კათოლიკოსის პირად მდივნის დეკ. იოსებ ჩიჯავაძის მიერ შედგენილი ხარჯთ აღრიცხვა, რომლითაც მოითხოვდენ გადადებულიყო ყოველ თვიურად სამიათას—სამიათასი მანეთი კათოლიკოსის ცხენებისა, სახლისა და ბერების შესანახად. საბჭომ უსახსრობისა გამო ვერ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნილება.

კათოლიკოსს ეძლევა წლიურად ოცი ათასი მანეთი, ამას გარდა სეკტემბრიდან მაისის ოცამდე საკათოლიკოსო სახლის შენახვაზე (ღვინო, შეშა, თივა და სხვ.) დახარჯულია ოცდა სამი ათასი მანეთი (23.000 მ.). გვაცცებს ასეთი ხელგაშლილობა, როდესაც საჭირო საქმისათვის ვერ ვშოულობთ ფულსა.

—

28 მაისს ყოფილ სასინოდო კანტორის შენობაში მოხდა თბილისის სამღვდელოების და ყველა სამრევლო საბჭოების ერისკაც მწევრთა კრება ჟურნალ „ახალ სიტყვისათვის“ ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენად. კრებაზე დასწრება სთხოვეს ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდს და ურბნელ ეპისკოპოსს დავითს, რომელნიც იმავე შენობაში სცხოვრობენ ამ ჟამად. კრებამ ერთხმად საჭიროდ და სასარგებლოდ სცნო „ახალ სიტყვის“, როგორც არა ოფიციალურ ორგანოს, არსებობა და ამოირჩია კომისია ჟურნალისათვის საჭირო თანხის აღმოსაჩენად. კომისიაში შედიან: ბბ. ივანე რატიშვილი, ნიკოლოზ ქარახანაშვილი, დავით ნახუცრიშვილი, დეკანოზნი: ალექსი მიქელაძე და ანტონ თათიბაძე.

—

თბილისის პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიის სამრევლო საბჭომ ომიანობისგან დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ მოაგროვა 539 მან. და 17 კაპ, რომელიც, შემომწირველთა სურვილის თანახმად, წარედგინა თბილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს დანიშნულებისამებრ გადასაცემად.

—

23 მაისს საკათოლიკოსო საბჭოს რვა წევრმა (12 დან) შეიტანა ამავე საბჭოში დასაბუთებული პროტესტი იმ თვითნებობის შესახებ, რომელიც გამეფებულია საბჭოში კათოლიკოსის მიერ. შინაარსს ამ საპროტესტო მოხსენებისას გავაცნობთ მკითხველებს შემდეგ.

გამომცემელი „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლლეგიის რწმუნებული მღ. ქრ. ციცქიშვილი.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“.